რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 23 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან., ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზედ [illegible]. განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; [illegible] განცხადებანი [illegible] 5 მანეთი [illegible]—3 მანეთი. [illegible]

ფულის მოთხოვნილებები ფული შეიძლება ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 104 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა. № 104

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის

№ 1 სიას № 1

თფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ღრმის მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს

ამხ. გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის

უდროოთ გარდაცვალებას.

ძმები: კოლია, ვოლოდია და ლევან მარსაგოვები გულდაწყვეტილნი აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს

გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარი ჩამოასვენეს აბასთუმნიდან თფილისში, გუშინ 22 ივლის საღამოს მატარებლით. თფილისიდან წაასვენებენ დღეს დილით 8 საათზე.

სოლომონი, ანნა და ოლია [illegible] ღრმის მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს და ნათესავებს ჩვენი ძვირფასი და საყვარელი [illegible]

გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის

უდროოდ გარდაცვალებას. [illegible] თფილისის [illegible] სოფ. [illegible].

და-ძმები: [illegible], თეკლე, შალვა, პროკოფი და ვანო ბოლქვაძეები და ნინა ბოლქვაძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და მეგობრებს

ივსიხი ბეჟანის ძე ბოლქვაძის

უდროოდ გარდაცვალებას.

თეოფილე, ლაზარე, კარლო და ქალი [illegible] ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი ორი ძმისას და მეორე ძვირფასი მამის

სოლომონ კონსტანტინეს ძე მუხაშავრის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 18 ივლისს ქალაქ ბათუმში [illegible] საავადმყოფოში. მიცვალებულს ამა თვის 19 წაასვენებენ სოფელ ძიმითში, სადაც მოხდება დაკრძალვა.

მე-4 ხაზის უბნის რ. ს. დ. მ. პ. საარჩევნო კომიტეტი, დღეს, კვირას 23 ივლისს თფილ. ქალთა პირველ გიმნაზიაში (ლორის მელიქოვის ქ.) სომხურ ს. დ. გაზეთ „ფაიქარის" სასარგებლოდ მართავს

კონცერტ-მიტინგს.

ილაპარაკებენ მიმდინარე მომენტის შესახებ. სომხურ ენაზე: პ. ახვერდიანი, ქართულად ალ. ლომთათიძე და რუსულად დ. პოპოვი. მიტინგის შემდეგ

მუსიკალურ-ვოკალური განყოფილება.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ორშაბათს 24 ივლისს საღამოს 8 საათზე თფ. ქალთა მესამე გიმნაზიის დარბაზში (ბებუთოვის ქ. № 28). პრივ. დ. მ. კაკოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„მიმდინარე მომენტი"

ლექციაზე შესვლა—50 კ. მოწაფეთა და ჯარისკაცებისათვის 25 კ. შემოსავალი გადაიდება ს. დ. მ. პ. საარჩევნო ფონდის სასარგებლოდ.

საზაფხულო მოგზაურობა.

თფილისის მომღერალ-მგალობელთა გუნდი მ. კავსაძის ხელმძღვანელობით გამართავს

დიდ სახალხო კონცერტებს

პროვინციის შემდეგ ადგილებში: ხაშურში 23 ივლისს, ბორჯომში 24, წაღვერში 25, გორში 26 და ქარელში 27, სხვათა შორის გუნდი შეასრულებს რევოლუციონურ სიმღერებს.

ქართული კლუბი

ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ კვირას, 23 ივლისს, დილის 12 საათზე, დანიშნულია კლუბის დარბაზში

საგანგებო კრების გაგრძელება

მამასახლისთა საბჭო სთხოვს კლუბის წევრთ უსათუოდ დაესწრონ კრებას, რადგანაც კრების მიერ განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა.

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის ბიურო

დღეს, კვირას, 23 ივლისს

აწყობს ხხვა და ხხვა ადგილზე

მიტინგებს

დღის წესრიგი:

„საქალაქო არჩევნები"

მიტინგები მოეწყობა ქალაქის შემდეგ ნაწილებში:

1) **საბურთალო.** დასაწყისი დღ. 4 საათზე. ილაპარაკებენ: მიხ. ტოროშელიძე (თავ.), დ. მ. პოპოვი, ტკაჩენკო და ჩხეიძე.
2) **ვერა-ფიქრის გორა.** დასაწყისი დღ. 4 ს. ილაპარაკებენ: გ. მახარაძე (თავ.), ათონსკი და ალ. ლომთათიძე.
3) **ხარფუხი.** დასაწყისი დღ. 4 საათზე. ილაპარაკებენ: გ. პეტროსიანი (თავ.), ა. თუმანოვი, გ. [illegible] და მკრტუმოვი.
4) **ავლაბარი.** დასაწყისი დღ. 4 ს. [illegible] ილაპარაკებენ: მ. აზატიანი (თავ.), ბუბნოვი, მგელაძე, ყარიჯიანი.
5) **ერთობის უბანი.** დასაწყისი დღის 4 ს. ილაპარაკებენ: ქ. გვარჯალაძე (თავ.), [illegible] და ა. ხმირნოვი.
6) **დიდუბე.** მოედანზე რკინის-გზის სკოლასთან. დასაწ. დღ. 4 საათ. ილაპარაკებენ: ხარქისოვი (თავ.) მაკაროვსკი, დ. პოპოვი.
7) **ნავთლუღი.** ერთპ. კომენ. მოედანზე. დასაწ. დღ. 3 ს. ილაპარაკ.: აგარონოვი, ხმირნოვი (პრეზ.) მ. რუხია, იდაშკინი, გოჩიტაშვილი, ხელაძე, მელიქოვი.

ორშაბათს, 24 ივლისს, მიტინგები მოეწყობა ქალაქის

შემდეგ ნაწილებში:

1) ნამალადევი. მოედანზე—თეატრის პირდაპირ. დასაწყისი დღ. 5 საათ. ილაპარაკებენ: მეფეტი, აგარონოვი, ალ. ლომთათიძე.
2) ავლაბარი. ქალაქის სკოლის ბაღში. დასაწყისი დღის 5 საათზე. ილაპარაკებენ: ხელაძე (თავ.) დ. პოპოვი, მ. აზატიანი.
3) ეგზარხის მოედანი. დასაწყისი დღ. 6 საათ. ილაპარაკებენ: პეტროსიანი (თავმჯ.), რუევსკი, მაშკევიჩი.
4) ჰესკა. დასაწყისი დღის 5 საათზე. ილაპარაკებენ: ყარაჯევი (თავმჯდომარე) ბუბნოვი, ჭაბეროვი.
5) სოლოლაკი. დასაწყისი საღ. 7 საათზე. ილაპარაკებენ: მ. რუხია (თავ.), ნ. რამიშვილი, მ. აზატიანი და ხმირნოვი.
6) მამადავითის მოედანი. დასაწყისი დღ. 6 საათ. ილაპარაკებენ: გ. მახარაძე (თავ.), ქ. გვარჯალაძე და ა. თუმანოვი.

აირჩიეთ სოც.-დემოკრატები!

პლუტოკრატია ირაზმება. ის კარგათ გრძნობს, რომ ფეხქვეშ ნიადაგი სავსებით ეცლება. ამიტომაც არის ის ყოველი ძალღონით იბრძვის ბატონობის შესანარჩუნებლათ და დემოკრატიის დასამარცხებლათ.

ახალი საარჩევნო კანონი ქალაქის მმართველობას დემოკრატიას აბარებს. გაჰქრა ის დრო, როცა ერთი მუჭა სოლოლაკელ ვაჭარ-მრეწველთა და მსხვილ სახლის პატრონთა ხმოსნებს ირჩევდა და საზოგადო ქონებას თავის გემოზე ანაწილებდა. დღეს ძალაუფლებაში საჭიროა დემოკრატიისათვის ანგარიშის გაწევა. და აი პლუტოკრატიაც ახალ გზას დაადგა. მისი მეთაურები დემოკრატიულ და სოციალისტურ სამოსელში გამოიკაზმენ და ამ გზით ლამობენ ამომრჩეველთათვის თვალის ახვევას.

გადაათვალიერეთ კადეტთა პარტიის სია № 7. ის სავსებით პლუტოკრატიის მეთაურთაგან შედგება. აქ თქვენ ხედავთ ცნობილ დეპუტატს პაპაჯანოვს, ხმოსან შერმაზანს, რომელიც სომხის ბურჟუაზიის მარჯვენა ფრთის მეთაურია; აქვეა ცნობილი კაპიტალისტი ენფიაჯიანცი და სხვა გავლენიანი ვაჭრები. სამაგიეროთ სიიდან განდევნეს რუსი ლიბერალები, როგორიც იყვნენ ნ. დუბროვსკი, ექიმი ფიშერი და სხვ. მოკლეთ კადეტთა პარტიას სავსებით სოლოლაკელთა პლუტოკრატია დაეპატრონა.

დღევანდელ ქალაქის თვითმართველობას დაშნაკცუთიუნის პარტია მეთაურობდა. ცნობილია, რომ ყველა გავლენიანი სომხის ნაციონალისტი მოღვაწე ამ პარტიის დირექტივებს ემორჩილება. ეს ჩვენ ვიხილეთ ომის დროს, ამას ყველა ამჩნევდა, ვინც ოდნავ მაინც თვალს ადევნებდა თფილისის საბჭოს მოღვაწეობას. დღეს დაშნაკცუთიუნის პარტია სოციალისტური დროშით გამოდის. აი საუკეთესო გზა მშრომელთათვის თვალის ახვევათ და მათზე თავისი გავლენის შესანარჩუნებლათ. პლუტოკრატია უმთავრეს იმედებს სწორეთ ამ პარტიაზე ამყარებს. მართლაც დაშნაკცუთიუნის გამარჯვება სომხის პლუტოკრატიის გაძლიერება და ქალაქში ძველი, ყველასაგან დაგმობილი წესების განმტკიცება იქნება. ეს გამოიწვევს შოვინიზმის გაღვივებას და ხელს შეუწყობს რევოლუციის დამარცხებას.

სომხის პლუტოკრატია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასაც ეფარება. პლუტოკრატიის მეთაური და ძველი საბჭოს მეთაური სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიას № 3 ამშვენებს. პლუტოკრატიამ თავი შეაფარა იმ „სოციალისტურ" პარტიას, რომელთა კარი ღიაა ყველასათვის, ვინც მას დაუკაკუნებს. ამიტომაც არის ზოგიერთ „სოციალისტურ" პარტიათა სიაში ისეთ პირებს შეხვდებით, რომელთაც თავისი წარსულით არც დემოკრატიასთან და არც რევოლუციასთან საერთო არაფერი აქვთ. კერძოთ, გაიმარჯვებს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, ან კიდევ უფრო მიეკედლება დაშნაკცუთიუნის პარტიას და მის გაბატონებას ხელს შეუწყობს.

დღეს ყველა პარტია დამოუკიდებლათ გამოდის. მათი ფაქტიურათ კადეტები, დაშნაკცუთიუნები და სოციალისტ-რევოლუციონერები, აგრეთვე სხვადასხვა წვრილი ნაციონალისტური ჯგუფები სოციალდემოკრატიას უპირდაპირდებიან და სწორეთ მის დამარცხებას ისახვენ უმთავრეს მიზნათ.

ერთ მხარეზე დემოკრატია სოციალდემოკრატიის სახით, ხოლო მეორე მხარეზე პლუტოკრატია, რომელიც სხვადასხვა ფერად იკაზმება და დემოკრატიის რაზმების არევდარევას ეტრფის.

ამხანაგებო და მოქალაქენო! თუ თქვენ გსურთ ქალაქის თვითმართველობაში დემოკრატიის გაბატონება, **ხმა მიეცით მხოლოდ სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სიას № 1.**

თუ თქვენ გსურთ პლუტოკრატიის ალაგმვა და მისი ბასრი კლანჭებიდან განთავისუფლება, არც ერთი ხმა არ უნდა მიეცეთ სხვა სიას, გარდა **რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის სიისა № 1.**

პლუტოკრატიის დამარცხება სოციალდემოკრატიის საქმეა. ასეთია მისი ისტორიული როლი. **ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.**

უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში.

მომავალ ენკენისთვიდან თფილისში გაიხსნება უმაღლესი სასწავლებელი. პირველად იხსნება პოლიტეხნიკუმის საპროგრამო ფაკულტეტი იანვრიდან ეკონომიური და შემდეგ თანდათანობით სხვა ფაკულტეტებიც. ამ გვარად დიდი ხნის ოცნება კავკასიის ხალხს სინამდვილეთ ევლინება და ახლო მომავალში კიდევაც ვეღირსებით აქ უნივერსიტეტს.

კავკასია დიდი ხანია საჭიროებდა უნივერსიტეტს. მაგრამ ჩვენი ცხოვრების არა მკითხე მესვეურნი ყოველთვის უარყოფითი ეპყრობოდნენ უნივერსიტეტის გახსნას კავკასიაში მათ ეშინოდათ „რევოლუციის კერის" მოწყობის განაპირა ქვეყანაში, როგორც ეძახდნენ ბიუროკრატები უმაღლეს სასწავლებელს. ამასთანავე ხალხის განათლება მათ არც აინტერესებდათ და თუ ჰქონდათ იქა-აქ რუსეთში უნივერსიტეტები—ეს უმეტეს ნაწილათ მონა-მორჩილ მოხელეების მოსამზადებლათ უნდოდათ.

ფხიზელი, ნიჭიერი, სწავლის მოყვარული გრძნობით დასახლებული კავკასია, მოკლებული იყო დღემდის უნივერსიტეტს და იძულებული იყო თავისი შვილები შორეულ რუსეთში გაემგზავრებინა უმაღლეს სწავლის მისაღებათ. ჩვენ ვიცით თუ რა დაბრკოლებები ელობებოდათ ჩვენს სტუდენტებს რუსეთში, რამდენი ზედმეტი ენერგია ეხარჯებოდათ მათ, რომ აეცილებიათ თავიდან ხელის შემშლელი პირობები, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ აღწევდა საწადელს.

დღეს თავისუფლებამ მოგვიპოვა უნივერსიტეტიც და თქმა არ უნდა, რომ ის დიდ სამსახურს გაუწევს მთელ კავკასიას. ჩვენი დემოკრატია სწავლა აღზრდის ძალზე ეტანება. ის ხედავს, რომ მისი ხსნა სწავლაშია და ასეთი შეგნებაა სწორედ იმის მიზეზი, რომ დიდ და პატარა სოფლებში ხსნიან სკოლებს, აარსებენ სამკითხველოებს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს. დემოკრატიის საშვალება აქვს თავის „სახლის ყურეთან" დაბალი, და ბევრ შემთხვევაში, საშუალო სასწავლებელი გაათავებინოს თავის შვილებს, მაგრამ მაღალი სასწავლებელი კი მისთვის ხელმიუწვდომელია. მაშინ კი, როდესაც უნივერსიტეტი აქ თფილისში მოეწყობა, კავკასიის მცხოვრებთა საგრძნობ ნაწილს საშვალება ექნება უმაღლესი სწავლა მიაღებინოს თავის შვილებს. ეს ხელს შეუწყობს ამ განაპირა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას, რაც ჩვენი ხალხის მიზანს შეადგენს.

მართალია, პირველ ხანებში უნივერსიტეტი ვერ დააკმაყოფილებს ყველა საჭიროებას. ეს იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებლის ხეირიანათ მოწყობას ბევრი რამ ესაჭიროება, მაგრამ იმედია ყველა ძალები მიიღებენ უნივერსიტეტის მოწყობაში მონაწილეობას და მით საქმეს სასურველათ დაგვირგვინებენ.

საერთაშორისო ომი

დასავლეთ ფრონტზე მტერი განაგრძობს შემოტევას. მდ. ზბურჩის ნაპირები ზოგიერთ ადგილას მტერმა დაიჭირა. აქ გერმანელებმა გადმოლახეს საზღვარი და დაიპყრეს ლატკოვცევი, ტრუბჩიკი და ვალკოვეცი.

დნესტრის და პრუტის შუა რუსის ჯარები უკან იხევს.

კარპატებში ავსტრია-გერმანიის ჯარმა გაარღვია ჩვენი ფრონტი და დაიპყრეს ფალკეი, ეს გარემოება საშიშ მდგომარეობაში აყენებს რუმინიაში მყოფ ჩვენს ჯარს.

რუმინიაშიც მტერი უმოქმედოთ არ დგას. ის აქაც უტევს და ჩვენს ჯარებს უკან აწევინებს მალე ბუკოვინას მტერი დაიჭერს.

საფრანგეთის ფრონტზე საფრანგეთ ინგლისელების ჯარი წინ მიიწევს, ხოლო გერმანელებმა გააცხოველეს კონტრ-იერიშები და ზოგიერთ ადგილას მიზანს აღწევენ.

კავკასიის ფრონტზე ოსმალებმა კიგის ჩრდილო აღმოსავლეთით შემოტევა დაიწყეს.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 21—22 ივლისი).

მოსავალი.

პეტროგრადი. (დაგვიანებულია). ფინანსთა სამინისტროს ცნობით შემოდგომის ნათეს პურის მოსავალს ასეთი პირი უჩანს: ევროპის რუსეთის 487 მაზრიდან 66 მაზრაში საშუალოზე ნაკლებია, 50 მაზრაში საშუალო, 16—ცუდი, 216—გვარიანი, 88—კარგი. ჯერ კიდევ გამოურკვეველია მოსავლის პირი 107 მაზრაში. გაზაფხულზე ნათესი 131 მაზრაში საშუალოზე ნაკლებია, საშუალოა 72 მაზრაში, უვარგისი—59, გვარიანი—204 და კარგი—42.

ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. „ვოლნის" სტამბის დაკავების დროს ფინლიანდიის სენატის სამანქანო განყოფილებაც დაბეჭდეს, ვინაიდან აზრათ ჰქონდათ იქ დაბეჭდათ აწყობილი „ვოლნა". სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე-თავმჯდომარემ ტოკოიმ სთხოვა გენერალ გუბერნატორს და პროკურორს ზომები მიეღოთ სტამბის გასახსნელათ. საკითხი სეიმში გაირჩა. როცა ტოკოის შეეკითხნენ საკუთარი სტამბის მაგიერ რატომ იბეჭდებოდა „ვოლნა" სენატის სტამბაშიო, მან დამაკმაყოფილებელი განმარტება ვერ მისცა.

ყაზახების დადგენილება.

ბერდიჩევი. ყაზახების ყრილობამ რეზოლიუცია გამოიტანა, სადაც დაგმობილია იმ უპასუხისმგებლო პირთა მოღვაწეობა, რომელთა წყალობით ფრონტზე ჯარები აირ-დაირია. მოითხოვენ ასეთი პირების სასტიკათ დასჯას როგორც ფრონტზე, აგრეთვე ზურგში. ყაზახების აზრით, ჯარების გამხრწნელი გავლენა პეტროგრადიდან მოდის, სადაც ამ დრომდე არ შეწყვეტილა უპასუხისმგებლო პირთა აგიტაცია.

მინისტრ ჩერნოვის წერილი.

პეტროგრადი. რადგან ამ უკანასკნელ ხანებში მიწათ-მოქმედების მინისტრ ჩერნოვზე ბევრი ცილისწამება გავრცელდა, მან საჯაროთ დაინახა მიემართა მინისტრ თავმჯდომარე კერენსკისთვის შემდეგი წერილით: „დიდი ხანია ჩემი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ყოველივე ბინძურ საშუალებას ხმარობენ, რომ ჩემზე ცუდი ხმები გაავრცელონ და მით ჩირქი მოსცხონ ჩემს სახელს. ამიტომ მე ჩემთვის ფრიად საჭიროდ ვსთვლი თავისუფალი ვიყო, რომ შესაფერი პასუხი გავსცე ჩემს მოწინააღმდეგეებს, რისთვისაც გთხოვთ გამანთავისუფლოთ თანამდებობიდან. მიწათ-მოქმედების მინისტრი ვიქტორ ჩერნოვი. 2 ივლისი, 1917 წ." დროებითმა მთავრობამ მოისმინა ჩერნოვის წერილი და სრული იმედი განაცხადა, რომ ძალიან ჩქარა, მას შეძლება მიეცემა ღირსეული პასუხი გასცეს თავის მოწინააღმდეგეებს და მისი თხოვნა დააკმაყოფილა. ამასთანავე დროებითმა მთავრობამ დაადგინა ჯერ არავინ დანიშნოს მიწათ-მოქმედების მინისტრათ. ჯერჯერობით სამინისტროს განაგებს ეხლანდელი მისი გამგე ვიხლიაევი.

შინაგან საქმეთა მინისტრი.

პეტროგრადი. დროებით მთავრობასთან არსებული ჟურნალისტთა ბიუროს ცნობით შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილზე დროებითი მთავრობა იწვევს გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ავქსენტიევს.

ფინლიანდიის სენატმა მიიღო სეიმის დათხოვნის მანიფესტი.

ჰელსინგფორსი. გენერალ გუბერნატორის თავმჯდომარეობით სენატმა 7 ხმით, წინააღმდეგ 6 ხმისა (სოციალისტების) დაადგინა გამოაქვეყნოს სეიმის დათხოვნის და ახალ არჩევნების მოხდენის შესახებ დროებით მთავრობის მანიფესტი. სენატის დადგენილება მაშინვე წერილთან ერთათ გაგზავნეს სეიმში. სეიმის კრება გაიხსნა დღის 2 საათზე. ტალმანს მანიფესტი არ გამოუქვეყნებია, ისე განაცხადა სეიმის სესიის შეწყვეტა ახალ განკარგულებამდე. დეპუტატებმა საჩქაროთ დასტოვეს სეიმის სხდომის დარბაზი.

თამბაქოს აქციზის გადიდება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა გაადიდოს აქციზი თამბაქოზე, ასე რომ მარტო თამბაქოს აქციზიდან ხაზინაში შევა ნახევარი მილიარდი მანეთი.

დეპუტატთა საბჭოს დელეგატები პარიზში.

პარიზი. საგარეო დამოკიდებულების საპარლამენტო კომიტეტმა 19 ივლისს მიიღო დეპუტატთა საბჭოების დელეგატები. მათ მიესალმა ფრანკლინ ბუიონი, რომელმაც თავის სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველა პარტიები ერთი სურვილით არის გამსჭვალული იხილოს თავისუფალ რუსეთის გამარჯვება. რუსანოვმა განაცხადა, რომ რუსეთის რევოლიუცია სიმპატიით ეპყრობა საფრანგეთს და მისი გამარჯვება დემოკრატიის რეაქციაზე გამარჯვებას მიაჩნევს.

საოლქო აღმასრულებელ კომიტეტების კრება.

ჰელსინგფორსი. საოლქო როტების და გემების აღმასრულებელ კომიტეტების კრება. გენერალ გუბერნატორის და ფლოტის უფროსის თანდასწრებით, წაიკითხეს სეიმის დათხოვნის მანიფესტი გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა, რომ სეიმის მოწვევა მოხდება დამფუძნებელ კრების მოწვევის დროსო. სეიმს უთუოთ უნდა ფინლიანდიის სრული ავტონომია, რუსეთიდან გამოყოფა. უკეთუ სეიმი ნებით არ დაიშალა, მთავრობა ძალას იხმარს. ამ განცხადებას კრება დიდის ტაშის ცემით შეხვდა.

სენატში სეიმის დახურვის შესახებ მანიფესტის გამოქვეყნების საკითხის გადაწყვეტის დროს ხმები შუაზე გაიყო. გენერალ გუბერნატორის ხმით გადაწყდა საკითხი. მანიფესტს ხვალ გამოაქვეყნებენ.

ჯარის კომიტეტების რეზოლიუცია.

ჰელსინგფორსი. შუადამისას გემების, როტების, პოლკების და დივიზიის დეპუტატთა საბჭოს კომიტეტების კრებაზე მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: 1) რუსეთის რევოლიუციონური მთავრობის ბრძანების დამორჩილება, დღევანდელ მდგომარეობის დროს, ყველა მოქალაქეთათვის სავალდებულოა. 2) ფინლიანდიის დემოკრატიამ დიდი შეცთომა დაუშვა, რომ განახორციელა თავის ავტონომია რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის დაუკითხავათ. 3) შექმნილ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ საჭიროა რუსეთის და ფინლიანდიის დემოკრატიისაგან შედგეს კომისია, რომელიც კეთილათ დააგვარებს ამ საქმეს.

კერენსკიმ გადადგომა ითხოვა.

პეტროგრადი. კერენსკიმ მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილეს ნეკრასოვს შემდეგი შინაარსის წერილი გადასცა: რადგან, მიუხედავათ ყოველგვარ ზომებისა, შეუძლებელი შეიქნა დროებით მთავრობის შევსება, ისე რომ ის ამ ისტორიულ მომენტის შესაფერი ყოფილიყო, მე აღარ შემიძლია ჩემი მოვალეობის ასრულება, ამიტომ ვსთხოვ დროებით მთავრობას გამანთავისუფლოს ყველა თანამდებობიდან. ა. ფ. კერენსკი.

კერენსკიმ ეს წერილი გადასცა და პეტროგრადიდან წავიდა. მთავრობამ დაადგინა არ მიიღოს კერენსკის გადადგომა და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოიწვიოს შემდეგი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელნი: ხალხის თავისუფლების, რადიკალურ-დემოკრატიული, შრომის ჯგუფის, სახალხო სოციალისტური, ს. დემოკრატიული და ს. რევოლიუციონერი. აგრეთვე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენელნი. ამ დადგენილების შემდეგ დრ. მთავ. წევ. პირადათ მოიწვიეს ზოგიერთი ორგანიზაციები საღამოს 9 საათზე თათბირზე დასასწრებლათ. თვითეულ პარტიას უფლება მისცეს რამდენიც უნდა იმდენი წარმომადგენელი გამოეგზავნა. სახელმწიფო დუმიდან და აღმასრულებელ კომიტეტებიდან მოწვეულია როძიანკო, ჩხეიძე და ავქსენტიევი.

ლენინის და მისი ამხანაგების წინააღმდეგ საბუთების გამოქვეყნება.

პეტროგრადი. იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ლენინის, ზინოვიევის, კოლონტაის, კოზლოვსკის, რუზენსონის და პრაპორშჩიკ სემაშკო მიხეილ ილინის, პარვუსის, განეცკის, სახაროვის და როშელის შესახებ მოწმეებით და დოკუმენტებით დამტკიცებული ბრალდებები. მათ ბრალს სდებენ ღალატში და აჯანყების მოწყობაში. იმათ აბრალებენ, რომ 1917 წელს, ურთიერთ შორის მოლაპარაკების შემდეგ რუსეთთან მებრძოლ სახელმწიფოების დასახმარებლათ შეუთანხმდნენ ამ ქვეყნების აგენტებს, რომ ჯარში დეზორგანიზაცია მოეხდინათ, რისთვისაც მათგან მიღებულ ცნობებით მოაწყვეს მცხოვრებთა და ჯართა შორის პროპაგანდა და მოუწოდეს ხელი აეღოთ მტრის წინააღმდეგ მოქმედებაზე და აგრეთვე 3—5 ივლისს მოაწყვეს პეტროგრადში მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება. ამ აჯანყებას მოჰყვა სისხლის ღვრა. მის გავლენის ქვეშ ჯარმა ბრძოლის ველი დასტოვა და საშუალება მისცა მტერს ფრონტი გაერღვია.

ფინლიანდიის სეიმის დათხოვნის მანიფესტის გამოქვეყნება.

ჰელსინგფორსი. 21 ივლისს მთავრობის გაზეთ „ფინლ. [illegible] გაზეტა"-ში გამოაქვეყნეს დროებით მთავრობის მანიფესტი სეიმის დათხოვნის და ახალ არჩევნების მოხდენის შესახებ.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 21—22 ივლ.).

რუსეთის ფრონტი.

მოქმედი არმია. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყაზახთა ყრილობამ დაადგინა, ჯარების საბჭოში არჩეული და გაგზავნილი მხედრები უკანვე გაიწვიონ. ჯარში სულიერი განწყობილება შესამჩნევლათ შეიცვალა. ეს მოხდა იმ ჯარებშიც კი, რომლებმაც პოზიციები დასტოვეს, ბოლშევიზმი თანდათან ჰქრება. ახლად მოსულ ჯარებს გამხნევება შეაქვს ჯარში. უწესრიგობა რკინის გზებზე შემცირდა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარი სარდლის ბრძანებით ამ ფრონტის ყაზახთა ყრილობა დაიხურა.

პეტროგრადი. ოფიციალური ცნობა ბანაკიდან, დასავლეთის ფრონტი. კუდრინცეს რაიონში ჩვენმა ჯარმა პოზიცია დასტოვა. დნესტრის სამხრეთ ნაპირზე მტერმა დიდი ძალა გამოიჩინა. 19 ივლისს საღამოს მტერმა დაიჭირა პერებიკოვცი, ჩორნიკოტოკი, დობრინოვეცი, ხოროშევცი და კუზჩინიკი. ჩვენმა ჯარმა აღმოსავლეთისაკენ დაიხია. კარპატებში პუტნას დასავლეთით მტერმა ჩვენი ჯარი უკან დაიწია. რუსს-მოლდავიის რაიონში ჩვენმა ჯარმა შეუტია მტერს, უკან დაახევინა და ტყვეთ წამოიყვანა 2 აფიცერი და 152 ჯარისკაცი. ხელში ჩაიგდო 8 ტყვიის მფრქვეველი.

რუსეთის ფრონტი.

პეტროგრადი ოფიციალური ცნობა. დასავლეთის ფრონტზე მდ. ზბრუჩის შესართავთან მტერმა იერიშები მიიტანა ჩვენს პოზიციებზე მედგარი ბრძოლის შემდეგ ზოგიერთ ალაგას ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. მტერმა დაიკავა ლიტკოვცი, ტრუბჩიკი და ვალკოვეცი. მდ. დნესტრსა და პრუტს შორის ჩვენი ჯარი აღმოსავლეთისაკენ იხევს. კარპატებში მტერმა ჩვენი პოზიციები გაარღვია და დაიკავა ფალკეი, რომელიც კიმპოლუნგის სამხრეთით მდებარეობს. ჩვენს ჯარებს მტერთან ბრძოლა აქვთ მდ. მოლდოვა ვოლცთან.

რუმინიის ფრონტზე მტერმა ჩვენს წინააღმდეგ დიდი ძალა გამოიყვანა, ამიტომ ჩვენ დავტოვეთ კიმპოლუნგი. ამ ჟამათ ჩვენი ჯარი ბრძოლას აწარმოებს მდ. ბისტრიცაზე კანტი-კუნტი სროლაა.

— ს. დ უშას რაიონში მტერმა ჩვენ ჯარს აღმოსავლეთისაკენ დაახევინა. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე სროლაა.

კავკასიის ფრონტზე კიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოსმალთა მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. ფრონტის დანარჩენ ნაწილებში ცვლილება არ მომხდარა.

მფრინავთა მოქმედება. ხოტინის რაიონში მფრინავმა შტ.-კაპ. კაზაკოვმა მტრის 15 აეროპლანი დალეწა. ავიატორი ავსტრიელები ტყვეთ წამოვიყვანეთ.

ბალტიის ზღვა. რიგის სრუტის ახლო შვიდჯერ გამოჩნდენ მტრის აეროპლანები; მენიოსა და არენსბურგის ახლო ჩამოაგდეს 20 ყუმბარა.

მფრინავთა მოქმედება. პოდპოლკოვნიკ კონოვალოვის წინამძღოლობით ჩვენი 24 აეროპლანი თავს დაესხა სად. ვოიგიანის. ჩამოაგდეს 60 ყუმბარა.

საფრანგეთის ფრონტი.

პარიზი. ბელგიაში ფრანგების ჯარმა წინ წაწევის შემდეგ დაკავებული პოზიციები გაამაგრა. მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. ენერგიული კონტრ იერიშის შემდეგ სერნის აღმოსავლეთით რამდენიმე ადგილებში წინ წავიწიეთ და 80 ტყვე წამოვიყვანეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურისა და „304" სიმაღლის შუა გერმანელებმა ჩვენს პოზიციებზე იერიში მიიტანეს, ზოგიერთ ადგილებში პირველი რიგის სანგრების პირამდი მოვიდენ, მაგრამ შეჩერებულ იქნენ.

პარიზი. მიუხედავათ მტრის მიერ მოტანილი სასტიკი იერიშებისა ფრანგების ჯარი დაკავებულ პოზიციებზე მაგრდებიან. მდ. ენის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. განსაკუთრებით სიცხარე ემჩნევა ბრძოლას კრაონ ფურტებიზის ხაზზე. სერნის დასავლეთით გერმანელები შეეცადენ იერიშების მოტანას, მაგრამ ფრანგებმა იერიშები მოიგერიეს და 80 კაცი ტყვეთ წაიყვანეს. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურის და „304" სიმაღლის რაიონში გერმანელებმა იერიშები განაახლეს.

ლონდონი. ბრიტანიის მთავარი ბანაკის ცნობა საფრანგეთში მოქმედების შესახებ. 48 საათის განმავლობაში გადაუღებლივ წვიმდა. რკინის გზის სადგურ იარი-ფულერთან გუშინ მტრის მიერ დაკავებული პოზიციები უკანვე დავიბრუნეთ. იპრის ფრონტის დანარჩენ ნაწილებში უცვლელი მდგომარეობაა.

ბალკანეთის ფრონტი.

პარიზი ახლო აღმოსავლეთში მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა იყო 18 ივლისს. სტრუმის ახლოს მზვერავი რაზმების შეტაკება მოხდა. ბულგარელები ცდილობდენ სტრავინის მახლობლათ წინ წამოწევას, მაგრამ უკან დავახევინეთ.

იტალიის ფრონტი.

რომი. იტალიის მთავარი ბანაკის ოფიციალური ცნობით მტერმა 19 ივლისს დიდი მხნეობა გამოიჩინა. დიდი ძალებით ის შეეცადა სხვადასხვა ადგილებში იერიშების მიტანას, მაგრამ ყველა იერიშები მოვიგერიეთ და იძულებული გავხადეთ უკან დაეხია. ხელში ჩაიგდეს იტალიელებმა სამხედრო მასალა და ტყვეები, ალპების ფრონტზე ცხარე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

კოპენჰაგენი. შვეციიდან საფრანგეთში მიმავალი დანიის გემი „რიგმორი" დაილეწა. გემების მოსამსახურენი გადარჩენილ იქნენ.

† გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვი.

კიდევ ერთი მსხვერპლი! კიდევ ერთი დანაკლისი სოციალიზმისთვის მებრძოლთა ლაშქარისა. აბასთუმნიდან სამწუხარო ცნობა მოაწოდეს ჩვენს გაზეთ „ერთობას": „19 ივლისს, დილით 4 საათზე გიორგი წუთი-სოფელს გამოეთხოვა".

ვინ იყო გიორგი მარსაგოვი? გიორგი იყო თფილისის მუშებში კარგათ ცნობილი მუშა-ხელოსანი, ის დაიბადა დუშეთის მაზრის ქვემო ხევის საზოგადოების, სოფელ კარკუჩას ამ ორმოცდა შვიდი წლის წინათ. მამა მისი იყო მოხევეებში კარგათ ცნობილი გლეხი, რომელიც კარგ განწყობილებაში იყო ამ დროს აზნაურ ყაზბეგებთან (მათთან მოურავით მსახურობდა). აი ეს გახდა მიზეზი პატარა მოხევის მთიდან ქალაქში ჩამოყვანისა. ინჟინერ—ფილო ნიკოლოზის ძე ყაზბეგის რჩევით და დახმარებით გიორგი მიაბარეს ამიერ კავკას. რკინ. გზის მთავარ სახელოსნოში შეგირდათ. აქ მან როგორც ნიჭიერმა მოხევემ კარგად შეისწავლა ხელობა (სლესარობა). მას როგორც კარგს ხელოსანს რკინის გზის მუშათა შორის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

როცა მე გავიცანი ის, 1897 წელს, ის იყო დეპოს საიარაღოს უფროს გამგეთ. ამ დროს მუშათა ვიწრო წრე, სულ ორიოდე ათეული მუშა არ. არაგვიშვილის თაოსნობით ფარულათ აწარმოებდა წმინდა მუშურ საზოგადო საქმეს. მოწინავე მუშები ვერ უმალავდენ მას საიდუმლოებას 1898 წლამდე. დეკემბრის შუა რიცხვებში, იფეთქა რკინ. გზის მთავ. სახელ. მუშების გაფიცვამ. აი ამ გაფიცვის დროს გამოიჩინა აშკარა აქტიობა ამხ. გიორგიმ. ის მუშების მოთხოვნილებებს უშიშრათ უყენებდა უფროსებს და თავგამოდებით იცავდა.

ეს არ დარჩა შეუნიშნავი ჟანდარმთა გამჭრიახ თვალს და ხალხიდან სხვა მრავალთა შორის ისიც იქნა დაპატიმრებული, ამ დროიდან გიორგისთან დამოკიდებულება შეიცვალა,—ის მუშებმა თავის წრეში მიიღეს. გიორგი გულწრფელად დაეწაფა განახლების იდეას და შეძლებისდაგვარად ითვისებდა მას, ის მართალია არ იყო გამოჩენილი ორატორ-პროპაგანდისტი, არ იყო თეორეტიულათ სათანადოთ მომზადებული, მაგრამ ის იყო დიდი პრაქტიკი და ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევდა მუშათა საერთო საქმეს. ასეთი მოღვაწეობისათვის, გიორგი მეორეთ იქნა დაპატიმრებული და ასტრახანში გადასახლებული 1903 წ. საიდანაც 1904 წელს დაბრუნდა თფილისში. ის ვერ გასტეხა ასეთმა დევნამ, პირიქით უფრო გაამხნევა.

გიორგის უკვე ვხედავთ სათანადოთ მომზადებულს. 1905 წ. დიდის აღტაცებით შეხვდა განსვენებული რევოლიუციის დღეებს და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა რევოლიუციის საქმეში. მას ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო საქმეებს ანდობდა და ავალებდა თფილისის მუშათა ს. დ. კომიტეტი. მან იკისრა კომიტეტის დავალებით იარაღის და სხვა ასეთი საპასუხისმგებლო საქმეების მოვლა-შენახვა.

ის აძლევდა იარაღებს და საჭირო დარიგებას წითელ რაზმელებსა. 1905 წლ. რევოლიუცია ხანმოკლე გამოდგა, მთავრობამ და ადგილობრივმა შავრაზმელებმა: 18 დეკემბერს 1905 წ. ნაძალადევში, როგორც რევოლიუციის კერას (მოკლეს 9 [illegible] თავდადებული ამხ.), ხოლო 23 და 24-ს დეკემბერს სოლდათის ბაზარზე და დიდუბეში ულმობლათ დაინთხა რევოლიუციონერთა სისხლი (დასწვეს და დაანგრიეს ყუმბარა ზარბაზნებით სახლები). აი ამ დღიდან იწყება გიორგის ტანჯვა-წამებაც, ის როგორც იარაღების შემნახავ-გამცემი 1906 წ. დააპატიმრეს მეტეხის ციხეში, სადაც დაჰყო 7 წელი, აქედან 2 წ. გამოძიების ქვეშ იყო. ჯერ საუკუნოთ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა, ყოველივე უფლების აყრით, ხოლო შემდეგ ეს შეუცვალეს 5 წლის ციხეში დაპატიმრებაზე. ისედაც ჯანით სუსტი გიორგი ციხეში ჯდომამ სულ დააუძლურა. ის ავადმყოფობის გამო ქალაქ იაროსლავლის სამოწყალო სახლში მოათავსეს... აქ დაჰყო მან 1916 წლამდე; ხოლო ამ წელს როგორც უიმედო ავადმყოფი და ნაკლებად საშიშარი თვითმპყრობელობისათვის გადმოიყვანეს გორში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

გორში გიორგი აირჩიეს სინდისის სასამართლოს წევრათ; გარდა ამისა, რამდენადაც ჯანი შესწევდა თავდაუზოგავად მუშაობდა პარტიულ კოლექტივში და უპარტიო კულტურულ განმანათლებელ საზოგადო საქმეებში.

19 ამა თვეს, აბასთუმანში სამუდამოთ შესწყდა მისი მაჯის ცემა და საბოლოოთ გამოეთხოვა ხალხის საქმეს.

თფ. კომ. მონდ. დავით ხართიშვილი.

გიორგი მარსაგოვის გარდაცვალების გამო.

(დეპეშები).

ხაშური. არ დასცალდა ძვირფას ამხანაგს გიორგის რევოლიუციის გამარჯვების ხანაში ეცხოვრა და ჩვენთან ერთად გაეზიარებია საერთო სიხარული. ცხარე ცრემლებით დავსტირით მუშათა საქმისათვის თავდადებულის ცხედარს.

ხაშურის ს.-დ. რაიონული ორგანიზაცია.

—

ღრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ მუშათა საქმისთვის მედგარი მებრძოლის გიორგი მარსაგოვის გარდაცვალების გამო. ძვირფასი ამხანაგის ხსოვნა საუკუნო იქნება!

გიორგი, ნ. გურული.

—

ხაშურის დეპოს მუშები და ხელოსნები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თავისუფლებისათვის მებრძოლის და პროლეტარიატის ერთგული მეგობრის გიორგი მარსაგოვის გარდაცვალების გამო. საუკუნო ხსენება ძველს მებრძოლს, რომელმაც თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები მუშათა კლასის კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებას შესწირა.

ამხ. მონდ. ზაბილავა, ლეჟავა.

სამგლოვიარო წერილი.

ჩვენ, თფილისის დეპოს მუშები ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ტანჯული მებრძოლის, ძვირფასი ამხანაგის გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის უდროოდ გარდაცვალების გამო.

ამასთანავე ვაცხადებთ ამხანაგ-მეგობრების საყურადღებოთ, რომ გიორგის ცხედარს დღეს, დილის 9 საათზე გაასვენებენ თფილისიდან სოფ. ყაზბეგში.

ახალი ამბები

◆ **დაშნაკცაკანების თავხედობა.** მეხუთე რაიონის მცხოვრებნი აცხადებენ, რომ დაშნაკცაკნები დადიან ეზო-ეზო, ართმევენ მცხოვრებთ ჩვენ საარჩევნო ბარათებს, ხევენ და აძლევენ თავისას. თან იმუქრებიან: თუ ხმა ჩვენ არ მოგვეცით დაგწვავთ დაგხოცავთო. აგრეთვე სოც.-დემოკრატების „პლაკატებს" ჰგლეჯენ ქუჩაში და თავისას აკრავენ. ამას ჩადის ის პარტია, რომელიც თავის თავს „სოციალისტურს" უწოდებს. „კულტურული" ბრძოლაც ასეთი უნდა... დრო კია, რომ დაშნაკცაკანების თავხედობას ბოლო მოეღოს.

◆ **საქალაქო არჩევნები.** მე-218 სათადარიგო პოლკის წარმომადგენლებმა განცხადება შეიტანეს კავკასიის ჯარის ცენტრში და სთხოვეს მას იშუამდგომლოს საარჩევნო კომიტეტის წინაშე, რომ მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმ ჯარისკაცებსაც, რომლებიც აღწერის შემდეგ ჩამოვიდენ თფილისში და საარჩევნო სიაში არ არიან შეტანილი. საარჩევნო კომიტეტმა უარჰყო ეს შუამდგომლობა, ვინაიდან, როგორც ვიცით, საარჩევნო კანონის ძალით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმათ, ვინც აღწერის დროს თფილისში იყო და ამრჩეველთა სიაში შეტანილია. ამასთანავე კომიტეტი სთხოვს ჯარის ცენტრის თავმჯდომარეს, მიიღოს ზომები, რომ მე 218 სათ. პოლკის და სხვა სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებმა არ დაარღვიონ საარჩევნო კანონი და არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ იმათ, ვისაც ამის უფლება აქვს.

— ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა შინაგან-საქმეთა მინისტრისაგან საქალაქო არჩევნების შესახებ მიიღო დეპეშა, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „ვინაიდან ხშირად შემოდის შუამდგომლობა სამხედრო პირთათვის საქალაქო არჩევნებში განსაკუთრებულ უფლებების მინიჭების შესახებ (მაგ. ხმის მიცემის უფლება არჩევნებამდე, ან არჩევნების შემდეგ), შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ჯარის-კაცები იგივე მოქალაქეებია და საქალაქო არჩევნებში განსაკუთრებული უფლებები არ შეიძლება მიენიჭოთ მათ".

— საარჩევნო კომიტეტმა დაადგინა არჩევნების ტეხნიკური მხარის შესახებ დაწვრილებითი ცნობები დაბეჭდოს ყველა ადგილობრივი გაზეთების მე-4 გვერდზე, ხოლო მოკლე ცნობები—პირველ გვერდზე.

— გაზ. „კავკაზ"-ის დღევანდელ ნომერში ცალკე დამატების სახით გამოქვეყნებულია ყველა პარტიათა და ჯგუფთა სახმოსნო კანდიდატების სია (სულ 12). სიების მიღება შეიძლება აგრეთვე საარჩევნო კომიტეტში (გოლოვინის პრ., არტისტიულ საზოგადოების შენობაში).

◆ **ხალხის ხმა.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს ზაქათალის ოლქიდან შემდეგს ატყობინებენ: „ზაქათალის ოლქის 130 ათასი მცხოვრებნი, რომელიც ეკუთვნიან ხუთ სხვადასხვა ეროვნებას, გულის წყრომასა და ზიზღს უცხადებენ რუსეთის მოღალატეებს. ადგილობრივი მცხოვრებნი ეცდებიან დაიცვან ოლქში მშვიდობიანობა და დაეხმარონ

დროებით მთავრობასა და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს რევოლიუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში.

◆ **ჩაი.** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს პოპოვის ფირმამ აღუთქვა 10 ათას გირვანქა ჩაის დათმობა.

◆ **სიმინდი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან მიღებული სიმინდი დაუნაწილა ყვირილას 8 ვაგონი, შორაპანს 3, საჩხერეს 5, ჭიათურას 2, ბელოგორს 3, სვირს 3, მარელისს 1, ძირულას 1. ადგილობრივი სიმინდი საჩხერეს 5, ჭიათურას 3, დარკვეთს 1, სალიეთს 1, ბოსლეთს 1, ყვირილას 5. სიმინდი გადაეცა ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებს და მომხმარებელ და საკრედიტო კოოპერატივებს.

◆ **საბაღოსნო სკოლის მდგომარეობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სარევიზიო კომისიამ წარუდგინა საზოგადოების საბჭოს მოხსენება საბაღოსნო სკოლის შესახებ. კომისიის აზრით სკოლა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა. მოწაფეთა სადგომი, სამზარეულო, სასადილო ვერ აკმაყოფილებს ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნილებასაც კი. კომისია სთხოვს საბჭოს ეს მოხსენება წარუდგინოს განსახილველათ საზოგადოების წევრთა საერთო კრებას.

◆ **ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან** არსებულ საგანგებო სათათბიროს წევრთა სხდომა მოხდება 25 ივლისს, აარჩევენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ხელმძღვანელ კომისიის 12 წევრი და სათათბიროს პრეზიდიუმი. საჭიროა ეს სხდომა აუცილებლათ შედგეს, ვინაიდან კომისიის შეერთებული სხდომა დანიშნულია 26 ივლისისათვის

◆ **შუამდგომლობის უარყოფა.** ბაქოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წინაშე ცენტრში მათი წარმომადგენლის დაშვების შესახებ. მუშათა ცენტრმა უარჰყო ეს წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ასეთ საკითხის გადაჭრა მხოლოდ მუშათა ყრილობის საქმეაო.

◆ **მილიციონერთა შორის.** 14 ივლისს შედგა მე-10 კომისარიატის მილიციონერთა კრება. კრებამ ერთხმათ დაადგინა დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას ორი მილიციონერი, ს—ვი ქრთამის აღებისათვის და რ—ლი სამსახურის დროს დათრობისათვის. ამ კრებაზედვე აირჩიეს საამხანაგო სასამართლო კერძო კითხვების გასარჩევათ. ერთხმათ იქნა მიღებული მილიციის უფროსის კაჩუხოვის წინადადება—ჯამაგირის 1 პროც. ყოველ თვიურათ გადადონ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სასარგებლოთ.

◆ **წმინდა ნინოს უბნის ბიურო** აცხადებს, რომ ამხ. გ. ფარალოვი, მ. სუხოვი, კრემენსკი და ი. სიდორენკო აღარ ირიცხებიან ბიუროს წევრებათ, ვინაიდან არ შეუძლიათ მუშაობა მათზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

◆ **უბედური შემთხვევა.** 15 ივლისს ბანაობის დროს მდ. არეზში დაიღრჩო სადგურ ნახიჩევანის კანტორაში მოსამსახურე ანდრია ახობაძე.

◆ **გაზეთის გაწერა.** მალაქია ქოჩლაძემ ჩვენი გაზეთი წლის ბოლომდე გაუწერა სოფ. ხრიხონის სამკითხველოს.

კრებები ად მიტინგები

დღეს, საღამოს 6 ს. არსენალის შენობაში გაიმართება მიტინგი. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. დ. პოპოვი.

— დღეს ნაშუადღევის 3 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია საზოგადო კრება პროფესიონალურ კავშირების: ლითონზე მომუშავეთა, ელექტრონის მუშების და ტყავზე მომუშავე მუშებისა. ამხანაგი ალ. ლომთათიძე წაიკითხავს მოხსენებას სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობის შესახებ. გამგეობა სთხოვს კავშირის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ.

— ხვალ, საღამოს 8 ს. ქალთა მე-3 გიმნაზიის შენობაში (ბებუთოვის ქ. № 28) ამხ. დ. პოპოვი წაიკითხავს ლექციას მიმდინარე მომენტზე. ბილეთი ღირს 50 კ. ჯარისკაცთა და მოწაფეთათვის—25კ. შემოსავალი გადადებულია რ. ს.-დ. მ. პ. საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ.

— ხვალ, საღამოს 7 ს. ბიუროს ბინაზე (პეტრე დიდის ქ., № 18) შესდგება ცენტრალური ბიუროს და ყველა პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის წევრთა შეერთებული კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ი. ხელაძე პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენციის მუშაობის შესახებ.

— ხვალ, საღამოს 7 ს. დანიშნულია მე-3 რაიონ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. სერიოზული კითხვებია გასარჩევი და ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველათ დაესწრონ.

რა მოხდა თიონეთში?

„სახალხო საქმეში" ამ დღეებში შემდეგი ცნობა იყო მოთავსებული შემდეგი სათაურით: „ხულიგანობა. როგორც თიონეთიდან დეპეშით გვატყობინებენ, იქ სოციალდემოკრატ ვიღაც ელიხანოვისა და რამიშვილის პროვოკატორულ მოქმედების გამო მიტინგზე ექსცესები მომხდარა სოციალისტ-ფედერალისტთა წინააღმდეგ. საქმის გამოძიებისათვის მიღებულია ზომები".

„საქართველოში" კი ასეთი ცნობა იყო. „პარტიული ვითარება თიონეთში. თიონედან დეპეშით შემდეგს გვატყობინებენ. სოციალდემოკრატებმა თავიანთი დიქტატურა გამოაცხადეს. ისინი სხვა პარტიების წარმომადგენლების დევნას კვლავ განაგრძობენ. მუშათა და ჯ. კ. დეპ. საბჭოს დეპეშით საქმის ადგილობრივ გამოძიება ვთხოვეთ. გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელიცო".

როგორც ხედავთ, ალბათ ეს ერთი და იგივე დეპეშაა. ხსენებულ რედაქციებს იგი თავისებურათ „გადაუმუშავებიათ" და „სცხებენ უმოწყალოთ" სოც. დემოკრატებს. ამის გამო გუშინ თიონეთიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „სახალხო საქმის" მეორე ნომერში და „საქართველოს" მე-156 მოთავსებულ ცნობები პროვოკაციული ხასიათისაა. ხსენებულ ცნობებს ჩვენ უარვყოფთ და რედაქტორებსაც პასუხისგებაში მივსცემთ.

სამაზრო კომისარი მენთეშაშვილი, დელეგატი ანანია ხალუქაძე.

№ 1

Голосую за списокъ

Россійской Соціалъ-Демократической Рабочей Партіи.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ՌՈՒՍԱՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼ-ԴԵՄՈԿՐԱՏԱԿԱՆ ԲԱՆՎՈՐԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹԻՒՆ.

روسیه اجتماعیون عامیون فعله فرقه‌سی

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიამ გამოსცა ზემო მოყვანილი ბარათები. **ბარათები დაბეჭდილია წითელი ასოებით.** ყველა მუშამ, ყველა ჯარისკაცმა, ყველა მოქალაქემ ზემო აღნიშნული ბარათი უნდა ჩადოს იმ ბეჭედ-დაკრულ კონვერტში, რომელიც მას ფოსტალიონებმა მიუტანეს. ეს კონვერტი შეინახეთ საარჩევნო დღისათვის. 30 ივლისს ამ კონვერტს ჩააგდებთ საარჩევნო ყუთში იმ ადგილებში, რომელიც ნაჩვენებია საარჩევნო ბარათზე.

ფოსტალიონები კონვერტებთან ერთათ არიგებენ საარჩევნო ბარათებს (избирательная карточка). ეს ბარათებიც შეინახეთ არჩევნების დღისათვის და იქ წარადგინეთ შესვლისას. უამისოთ ხმის მიცემა არ შეიძლება.

არც ერთი ხმა სხვა პარტიების სიას. ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1-ს.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიათა დებულება ამიერ კავკასიისათვის.

(დასასრული).

ა) დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომისია:

1) შეიმუშავებს იმ საერთო მისაღებ ზომებს ამიერ-კავკასიისთვის, რომელთა საშუალებითაც მოხდება არჩევნები. 2) გაანაწილებს საარჩევნოთ გაცემულ თანხას. 3) თადარიგს დაიჭერს, რომ მთელ ამიერ-კავკასიისათვის ერთგვარი ბლანკები, კონვერტები და ბიულეტენები დამზადდეს. 4) მიიღებს კანდიდატთა სიებს, დანომრავს, გამოაქვეყნებს და სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტებს შეატყობინებს. 5) დაითვლის მთელ ამიერ-კავკასიის ამომრჩეველთა ხმებს, გაარკვევს და საქვეყნოთ გამოაცხადებს არჩევნების შედეგებს და არჩეულ პირებს საჭირო მოწმობებს დაურიგებს.

ბ) დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის შემდგარი საგუბერნიო კომისია: 1) თვალყურს ადევნებს, რომ სამაზრო, საუბნო და სასოფლო კომისიები ამიერ-კავკასიის ცენტრალ. კომისიის სახელმძღვანელო ბრძანებას და ცირკულიარებს სისწორით ასრულებდნენ. 2) გაუნაწილებს მაზრებს ამიერ კავკასიის კომისიისაგან მიღებულ ბლანკებს, კონვერტებს და ბიულეტენებს. 3) დაამტკიცებს სამაზრო კომისიებისაგან სოფლების ძირითად საარჩევნო რაიონებათ დაყოფას. 4) განიხილავს და საბოლოვოთ გადასწყვეტს იმ საჩივრებს, რომლებიც მაზრის საარჩევნო რაიონებათ დაყოფის დროს მომხდარ უკანონობასა თუ შეცდომაზე შემოვა. 5) თვალყურს ადევნებს სამაზრო კომისიების თავის დროზე მოქმედების დაწყებას. 6) გაანაწილებს სესხს მაზრებს შორის. 7) დაითვლის ხმებს გუბერნიაში და შედეგებს ამიერ-კავკასიას შეატყობინებს.

გ) სამაზრო კომისია: 1) თვალყურს ადევნებს საუბნო და სასოფლო კომისიების თავისდროზე მოქმედების დაწყებას. 2) დაყოფს მაზრებს საარჩევნო რაიონებათ. 3) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების თავის დროზე შედგენასა და გამოქვეყნებას.

4) განიხილავს არჩევნების დროს მომხდარ შეცდომებზე შეტანილ პროტესტებს და საჩივრებს.

5) შესაფერ ზომებს მიიღებს, რომ კანდიდატთა სიები ამომრჩევლებმა დროზე გაიცნონ.

6) დაამტკიცებს საუბნო და სასოფლო კომისიებისაგან წარდგენილ ოქმებს.

7) დაითვლის სამაზრო კანდიდატთა სიებისთვის მიცემულ ხმებს.

8) თვალყურს ადევნებს საუბნო და სასოფლო კომისიების თავის დროზე დაარსებას.

9) დაურიგებს მაზრის საუბნო კომისიებს საგუბერნიო კომისიისაგან მიღებულ ბლანკებს.

10) საუბნო და სასოფლო კომისიებს მცოდნე ინტელიგენტ პირებს მიაშველებს.

დ) საუბნო ანუ სარაიონო კომისია: 1) თვალყურს ადევნებს სოფლის კომისიების თავის დროზე მოქმედების დაწყებას. 2) სოფლის კომისიებს სამაზრო კომისიისაგან მიღებულ ბლანკებს გაუნაწილებს. 3) თვალყურს ადევნებს საარჩევნო სიების შედგენას, 4) მიიღებს ცნობებს სასოფლო კომისიებისაგან საარჩევნო რაიონებში მიცემულ ხმების რაოდენობაზე და დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო კომისიას აცნობებს.

ე) დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი სოფლის კომისიები შეადგენენ ამომრჩეველთა სიებს, მოახდენენ არჩევნებს, დაითვლიან ხმებს საარჩევნო რაიონში და ყველა ამას საარჩევნოდ შემდგარ სამაზრო კომისიას გადასცემენ.

ა) ამიერ კავკასიის კომისია განაგებს დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეებს მთლად ამიერ კავკასიაში.

ბ) საგუბერნიო (საოლქო) კომისია განაგებს იმავე საქმეებს მხოლოდ გუბერნია-ოლქში.

გ) სამაზრო კომისია—მაზრაში.

დ) საუბნო ანუ სარაიონ კომისია—სამილიციო (ყოფილ საპოლიციო) უბანში, ანუ რაიონში.

ე) სასოფლო კომისია—საარჩევნო რაიონებში, ე. ი. ერთს, ორს ან და სამ სოფელში.

1. ამომრჩეველთა სიებს, დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საუბნო, სარაიონო და სამაზრო კომისიების თვალყურის დევნით სასოფლო კომისიები შეადგენენ.

მუხ. 1. **სიებში შეიტანებიან და არჩევნებში მონაწილეობენ:**

ა) რუსეთის ორთავე სქესის ყველა მოქალაქე, ვინც კი ამ წლის მკათათვის 17-ს 20 წლისა გახდება.

ბ) ის სამხედრო მოსამსახურენი, ვინც კი ამავე წლის ენკენისთვის 17 ს იმ ხნისა გახდა, რა ხნისაც უკანასკნელ დროს ვადამდე (досрочные) გაიწვიეს ჯარში.

2. **სიებში არ შეიტანებიან და არც არჩევნებში ექნებათ მონაწილეობა.**

ა) ყველანი ვინც კანონიერ წესით ცნობილნი არიან ჭკუაზე შეშლილ და შეშლილებათ და აგრეთვე სხვათა მზრუნველობაში მყოფნი ყრუ მუნჯები.

ბ) კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით დასჯილები, თუ მათ ადრევე არა აქვთ აღდგენილი სრულ უფლებიანობა.

1) სისხლის სამართლის წესით კატორღით დასჯილნი, სასჯელის მოხდენიდან 10 წლის განმავლობაში.

2) გადასახლებულები, ტუსაღების გამოსასწორებელ განყოფილებაში და გამოსასწორებელ სახლებში ჩასმულნი, საპატიმროში თუ ციხეში მყოფნი და უფლება აყრილნი ანუ უფლება შეზღუდულნი, სასჯელის მოხდიდან 5 წ. განმავლობაში.

3) ქურდობისათვის დასჯილნი, ისეთების გარდა, ვინც თავიანთი დანაშაულობით მომრიგებელ მოსამართლისაგან გადასაწყვეტ სასჯელთა წესდების 171 მუხლის მე 2-ე პუნქტით არიან დასჯილნი (კანონთა კრებული მეთუთხმეტე ტომი, 1914 წ. გამოცემა) ვერაგობისათვის და ჩაბარებულ ქონების მისაკუთრებისა და გაფლანგვისათვის დასჯილნი, იმ გამფლანგველთა გარდა, ვინც ამავ წესდების 177 მუხლის მეორე ნაწილს და სისხლის სამართლის და გამოსასწორებელ სასჯელთა დებულების 1681 მუხლის მე-2-ე ნაწილის (1912 წ. გამ.) ძალით არიან დასჯილნი (კან. კრებ. მეთუთხმეტე ტ.) აგრეთვე მოტაცებულის გადამალვისათვის, ისინიც ვინც გირაოებს იღებს და ყიდულობს ნაქურდალს, მოტაცებისათვის-მევახშეობისათვის, სიყალბისათვის, მექრთამეობისათვის, ქრთამის მიცემისათვის, გარყვნილობისათვის და გამოუსადეგრობისათვის დასჯილნი და აგრეთვე საკანონმდებლო და სათვითმმართველო ორგანოების არჩევნებში განზრახ ხელის შემშლელნი—სასჯელის მოხდიდან 2 წლის განმავლობაში.

გ) სასამართლოს განმარტებით ვალის გადახდის ვერ შემძლებლად ცნობილი მოვალე ბოროტგანზრახველობით გაკოტრებული—3 წლის განმავლობაში დღიდან სასამართლოს დადგენილებისა.

დ) თავის ნებით ჯარიდან წამოსული სამხედრო მოსამსახურენი (დროებითი მთავრობის დადგენილება 1917 წ. მაისის 26 ს, და ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი ამავე წლის მაისის 31—№ 17). იმათ გარდა, ვინც საარჩევნო სიების შემდგენამდის ან შესაწყნარებელ მოწმობას წარმოადგენს, ან დანაშაულს სამსახურში მხნეობით გამოისყიდის, ან და სასამართლოდან გასასამართლებელ განაჩენსა თუ ისეთ სასჯელის მოწმობას წარადგენს, რომელიც მას უფლებებს არ უსპობს.

4) საამომრჩევლო უბანში არჩევნებში მონაწილეობის ნება მხოლოდ უბნის საამომრჩევლო სიაში შეტანილ პირებს აქვთ.

5) სიებს იმ ამომრჩეველთა აღწერით შეადგენენ, ვინც აღწერის დროს საამომრჩევლო, რაიონში ცხოვრობს.

6) აღწერა სახლებში დავლით და მდგმურთა გამოკითხვის დროს მიღებული ცნობები საადწერო ბარათზე შემდეგის რიგით უნდა დაიწეროს. 1) ოჯახის თავის გვარი, სახელი, მამის სახელი და წლოვანობა. 2) სახელი და მამის სახელი ცოლის, დედის და მათი წლოვანობა. 3) შვილების სახელები და წლოვანობა.

7) მათ ოჯახში მცხოვრებთა და აგრეთვე მოჯამაგირე პირთა (მეეტლე, მემანქანე, მებაღე, მოჯამაგირე) გვარი, სახელი და მამის სახელი და წლოვანობა.

8) აღსაწერი ბარათები (карточки) ოჯახთა თავების გვართა ანბანის რიგზე უნდა დაეწყოს, დანომროს, აიკინძოს და შემდეგ ბარათებისა და ამომრჩევლების რიცხვი კომისიის ოქმში იქმნას შეტანილი.

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია.

უმუშევრობა

(ს. დალინის მოხსენების დებულებანი).

1) ახლანდელი უმუშევრობა გამოწვეულია იმ ეკონომიური პირობებით, რომელიც ომმა შექმნა, ამიტომ მას განსაკუთრებული ხასიათი აქვს. რამდენათაც მოახლოვდება ომის დაბოლოვება, იმდენათ ინტენსიურათ გაიზრდება უმუშევრობა. ის უმაღლეს საფეხურამდე მიაღწევს ზავის ჩამოგდების დროს და მის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდება.

2) სახელმწიფო ვალდებულია ებრძოლოს უმუშევრობას ერთის მხრით სამუშაოს გაჩენით, მეორეს მხრით—უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენით.

3) როცა სამუშაოს მიჩენაზე დადგება საქმე, შრომის სამინისტრო ვალდებულია გამოარკვიოს რა და რა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხასიათის სამუშაოთა შესრულება შეიძლება. განსაკუთრებით [illegible]თა პერსონალს უნდა მიექცეს ყურადღება, რომლებიც ფრონტზე მუშაობენ ამ ჟამათ და სამხედრო საქმეებს აკეთებენ, როგორიცაა გზების გაყვანა, ხიდეების გაკეთება და სხ. სამინისტრომ უნდა გამოარკვიოს, თუ რა სამუშაოს მიჩენა შეიძლება ამ გვარი მუშებისათვის სახელმწიფოში. შრომის სამინისტრომ უნდა გამოარკვიოს აგრეთვე სხვა სამინისტროების დახმარებით, თუ რამდენათ შესაძლებელი იქნება სასოფლო მეურნეობაში მუშათა რიცხვის გადიდება.

4) დაუყოვნებლივ უნდა გამომუშავებულ იქნას მრეწველობის დემობილიზაციის გეგმა

5) ყველა უმუშევრებს, რომელნიც თავიანთი ხელობის შესაფერს საქმეს ვერ იშოვნიან, სახელმწიფო ვალდებულია მათ დახმარება აღმოუჩინოს. ამ საქმეთა სახელმძღვანელოთ საჭიროა მთელი რიგი ორგანოებისა შექმნან იქ, სადაც ასეთები ჯერ კიდევ არ არსებობს. სანამ ყველგან ასეთი ორგანოები არ მოეწყობა, დახმარება უმუშევრებს უნდა გაეწიოს არა სახელმწიფოებრივი საზომით, არამედ—კერძოთ ამა თუ იმ ქალაქებში. ასეთი აუცილებელი ორგანოების გაჩენის შემდეგ დახმარების საქმე თანდათან სხვა ადგილებშიაც ეწყობა.

6) შრომის ბაზრის კონტროლი უნდა არსებობდეს და ეწყობოდეს, მუნიციპალურ შრომის ბირჟაში. ადგილობრივი შრომის ბირჟები უნდა დაკავშირებული იყონ ცენტრის ასეთსავე ორგანოსთან. სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა ადმინისტრაციებს უნდა დაევალოს მიაწოდონ ცნობები შრომის ბირჟას განთავისუფლებული ადგილების შესახებ.

7) მუშას, რომელიც შრომის ბირჟაში არის ჩაწერილი და ადგილი არ მიუღია, უფლება აქვს, მიიღოს ფულით დახმარება იმისდა კვალად, თუ რამდენი ეყოფა მას სახარჯოთ საქონელზე ადგილობრივ ფასების მიხედვით. დახმარების გამწესრიგებელ ორგანოთ ითვლება პროფესიონალური კავშირი; სადაც კავშირები არ არსებობენ, ამ მოვალეობას ასრულებენ საქარხნო კომიტეტები.

8) ვინაიდან უმუშევრობა გამოწვეულია საგარეო პოლიტიკის პირობებით, ყოველგვარი დახმარება უმუშევრებს სახელმწიფომ უნდა გაუწიოს.

9) თავის მხრით პროფესიონალურმა კავშირებმა ყოველი ღონე უნდა იღონონ, რაც კი შეუძლიათ, უმუშევართა დასახმარებლათ: მაგალითად ა) უმუშევართათვის დახმარების ორგანიზაციის მოწყობა, ბ) ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ მუნიციპალური შრომის ბირჟის მუშაობაში და სადაც ეს შესაძლებელია, საკუთარი შრომის ბირჟებიც კი უნდა შექმნან, გ) უნდა მოაწყონ საგზაო (მ სვლამოსვლა) ხარჯების დასაფარავათ დახმარება გაუწიონ უმუშევრებს. ერთი სიტყვით, უნდა სცადონ შეუმსუბუქონ მათ პირობები ადგილის შოვნისა.

ნაციონალური სექციები. სალაპარაკო ენა საზოგადო კრებებზე.

(გოლანსკის მოხსენების დებულებანი).

1) რუსეთის მუშათა კლასს სხვადასხვა ერები შეადგენენ, რომლებიც თავიანთ ენებზე ლაპარაკობენ.

2) მუშათა კლასის პროფესიონალური მოძრაობის ერთიანობა მოითხოვს პროფესიონალური ორგანიზაციის ისეთ ფორმებს, რომლითაც მუშათა კლასს შეეძლება ერთიანი პროფესიონალური ორგანიზაცია შექმნას, მიუხედავათ ნაციონალურის და ენის განსხვავებისა.

3) სხვა და სხვა ერის მუშებს, თავიანთ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთ, რომელთაც სხვანაირი სულიერ-კულტურული მოთხოვნილებები აქვთ და ყოფა ცხოვრების პირობებითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან,—რომ ასეთ მუშებს ერთნაირის შეგნებით შეეძლოთ პროფესიონალურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება,—ამისთვის რამდენიმე ერის მუშებისაგან შემდგარი პროფესიონალური კავშირის მთელი მოღვაწეობა: პროპაგანდა, აგიტაცია, ახალი წევრების მიღება მათი დაინტერესება პროფესიონალური მოძრაობით უნდა ხდებოდეს კავშირთა ნაციონალურ სექციებში.

ამ საკითხის შესახებ კონფერენციამ შემდეგი **რეზოლიუცია** მიიღო:

1) ყველა ეროვნების მუშები ერთ პროფესიონალურ კავშირში შედიან.

2) პროპაგანდის, აგიტაციის და აგრეთვე ყოველგვარი კულტურული მუშაობის წარმატებისათვის მრავალი ეროვნების მუშებისაგან შემდგარ პროფესიონალურ კავშირებში ეწყობა ნაციონალური სექციები, რომლებიც სრულიად ავტონომიურად მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

3) ნაციონალური სექცია, ე. ი., პროფესიონალური კავშირის წევრები, რომლებიც ამა თუ იმ ერს ეკუთვნიან, კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობის საწარმოებლათ ირჩევს აღმასრულებელ კომისიას.

4) პროფესიონალურმა კავშირებმა თითოეულ სექციას ფულით შესაფერი საშუალება უნდა მისცეს დასახული მიზნების განსახორციელებლათ.

5) საზოგადო კრებებზე მუშას უფლება აქვს ილაპარაკოს დედა-ენაზე.

6) მუშათა საზოგადო კრებებზე დამსწრეთა მოთხოვნით გაუგებარ ენაზე წარმოთქმული სიტყვა უნდა გადაითარგმნოს მათთვის გასაგებ ენაზე.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ტფილისი.

21 ივლისს შესდგა თფილისის განახლებული ს.-დ. კომიტეტის წევრთა კრება. კრებას დაესწრო კომიტეტის შემდეგი წევრები: რ. ჩიხლაძე, ქ. გვარჯალაძე, ზ. ჩიჩუა, ქალ. ჯამბერიძე, ალ. დგებუაძე, დ. ხარტიშვილი, ნიკოლოზ ნიჟარაძე, გარეგინ გარდიშიანი, გ. ცინცაბაძე, დომ. კაცანკალაშვილი, გ. შეფერტი, ილია ზადრაძე, ვ. კრიჟნი, ნიკ. კზიშოვსკი, უშანგი ელიავა და ათაბეგოვი (ხარფუხელი).

საოლქო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ნოე რამიშვილმა საოლქო კომიტეტის სახელით კრება გახსნა. ამის შემდეგ კრებამ ერთხმათ კრების თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. ქ. გვარჯალაძე და შეუდგა მორიგ კითხვების გარჩევას. საარჩევნო კომპანიის საკითხის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ დაშნაკცაკანები დადიან და ამომრჩევლებს ემუქრებიან უკეთუ მათ კანდიდატებს ხმას არ მისცემენ. კრებამ ამის შესახებ მიიღო ზომები.

კრებამ აირჩია პრეზიდიუმი ხუთი პირისაგან: თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩია კრებამ ამხ. ქ. გვარჯალაძე, მდივნათ კი ამხ. ზ. ჩიჩუა. ფარული კენჭის ყრით აირჩიეს თავმჯდომარის ამხანაგებათ: ჩიხლაძე და გარდიშიანი, ხაზინადრათ აირჩიეს კრიჟნი. თავმჯდომარეთ არჩევის შემდეგ ამხ. ქ. გვარჯალაძემ კრებას პირველ ყოვლისა მადლობა გამოუცხადა ყურადღებისთვის და ასეთ მძიმე სავალდებულო როლის დაკისრებისთვის, როგორიც არის კომიტეტის თავმჯდომარეობა. შემდეგ ამხანაგებს მოუწოდა პარტიული მუშაობისათვის. კრებამ იქონია მსჯელობა პარტიული მუშაობის შესახებ და გამოსთქვა სურვილი, რომ ყველა რაიონებში რაც შეიძლება მეტი მუშათა კლუბები გაიხსნას. რადგანაც ჩვენს პარტიას დღითი-დღე წევრები ემატება, უეჭველათ საჭიროა უფრო მეტი ცოდნა, უფრო ღრმა თვითშეგნება, ამისათვის პარტიულ კლუბებში იუცილებლათ საჭიროა სისტემატიური ლექციების კითხვა და მით წევრთა თვითშეგნების გაღრმავება...

სხვადასხვა წვრილმანი კითხვების გარჩევის შემდეგ კრება თერთმეტ საათზე დაიხურა.

ხად. ნახიჩევანი (ერევ. გუბერ.).

ხალხურ ნახიჩევანში, ძველი რეჟიმის დროს პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდა. დღეს კი დაარსდა პარტიული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. წევრების უმრავლესობას შეადგენენ ქართველები, შემდეგ რუსები, მუსულმანები, მხოლოდ სომხები ძალიან ცოტანი არიან. წევრთა რიცხვი 150 აღწევს. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ადგილობრივი ენების უცოდინარობა ხელს გვიშლის, მაგრამ იმედი გვაქვს თფილისელი ამხანაგები დაგვეხმარებიან და კარგათ მომზადებულ ამხ. გამოგვზავნიან.

პარტიული ლიტერატურის გავრცელება ჯერ სუსტათ არის მოწყობილი, მაგრამ ზომები უკვე მიღებულია.

გ. მოწინელიძე.

ხად. ევლახი.

აქაური ს.-დ. ორგანიზაციას, ჯერ-ჯერობით ორმოცამდე ათმეთი წევრი ჰყავს, საყვედურის ღირსი არიან აქაური ამხანაგები, რომლების მოღვაწეობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ საწევრო გადასახადს დროზე იხდიან და კოლექტივის წევრთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. მარტო ეს არ კმარა, საჭიროა კრებებზე დასწრება და სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვების გარკვევა.

ერთი თვე დარჩა დამფუძნებელ კრების არჩევნებამდი და ჩვენ კი ამ მხრით ჯერ არაფერი გაგვიკეთებია.

ჩვენშიაც მოიპოვებიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც შეუძლიანთ ისეთი პატარა საკითხები გაარკვიონ, როგორიც არის დამფუძნებელი კრება, საყოველთაო პირდაპირი არჩევნები, დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვა. მხოლოდ საჭიროა ხშირათ ერთათ შეკრება და მოქმედება.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ სადგურის მოსამსახურეებში ძლიერ მოდათ შემოიღეს „ბაცილება“ და კარტის თამაში. თუ რომელიმე მოსამსახურეთაგანს გაუღიმა ბედმა და გადაიყვანეს ველადან, დატრიალდებიან ამხ-ბიჭები და აგროვებენ ფულებს (ვინც მეტს გაიღებს ის საპატიო წევრათ ითვლება) და მართავენ ვახშამს.

სხვა არა იყოს რა დიდი სირცხვილია სადგურის მოსამსახურეებისათვის, რომ დღის მეტი საქმე ვერ უშოვნიათ და ღვინის სმაში და კარტის თამაშში ატარებენ დროს.

ხ. ლევანიშვილი.

ხად. ჯუმათი.

9 ივლისს აქ შესდგა ვნადაურის რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მიხაკო ოჯახაშვილი და მდივნათ სამუელ ლომიძე; მომდევნო კრება დაინიშნა ყოველ შაბათობით 12, საათზე. კრებამ დაადგინა ვისაც საწევრო ფული გადასახდელი აქვს აუცილებლათ უნდა გადაიხადოს ერთი კვირის განმავლობაში შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ტუღუშმა; შემდეგ კრებამ დაადგინა დაუყონებლივ შეუდგნენ დამფუძნებელ კრებისთვის მზადებას, მოაწყონ ლექციები და სხვა სამეცადინო წრეები, დასასრულ მიიღეს ახალი წევრები.

ნარიმან მაკაშვილი.

რევოლუცია პროვინციაში

ახალ-სენაკი. (სამეგრელო). აქეთ დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი ყველა ჩაება ხალხური მოქმედების ფერხულში. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალებზე, რომლებიც დღემდე არავითარ ძალას არ წარმოადგენდნენ, მათი ხმა მიჩქმალული იყო და დღეს კი მათმა მოქმედებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქალს აქ ჩვენ ვხედავთ ადმინისტრაციულ კომიტეტებში, ვხედავთ მათ თანასწორათ თვითმართველობაში, ვხედავთ კრებებზე თავმჯდომარეთ, მდივნათ და ყველაფერი ეს დიდ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს სენაკელი ქალებისათვის. ამას არ დასჯერდნენ აქაური მოწინავე ქალები, მათ მოინდომეს ქალთა ჯგუფის დაარსება და მიუხედავათ ზოგიერთ მამაკაცების წინააღმდეგობისა, ქალებმა მაინც თავისი გაიტანეს და დახმარებით ამ ერთი თვის წინათ მოხდა დამფუძნებელი კრება, დაესწრო 30-მდე ქალი. კრებამ აირჩია ხელმძღვანელი კოლეგია 5 ქალისაგან შემდგარი. გადაწყვიტეს მოაწყონ სამეცადინო წრე, მომზადების შემდეგ წრის წევრები წავლენ სამუშაოთ სოფლებში.

ამ ჯგუფის ინიციატივით 19 ივნისს თეატრში გაიმართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაიდო პარტიული კლუბის სასარგებლოთ. 28 ივნისს ამავე ჯგუფმა სენაკის ბაღში გამართა დიდი სახალხო სეირნობა, შემოვიდა ათასი მანეთი. ნახევარი გადასცეს ადგილობრივ ორგანიზაციის ს. დ. მ. პ. ხელმძღვანელ კოლექტივს და ნახევარი კი პარტიულ კლუბის მომწყობ კომისიას.

დახედი ქალი.

აგარაკი წაღვერი. ოთხშაბათს, 5 ივლისს და კვირას 9 ივლისს მოხდა მეაგარაკეთა კრებები, რომელსაც თავმჯდომარეობდა სტავინსკი. პირველ კრებას დაესწრო ბორჯომის კომისარი ამხ. ნოე რამიშვილი. ის ერთხმათ აირჩიეს კრების საპატიო თავმჯდომარეთ.

უმთავრესი საკითხები იყო, ფქვილის და სანოვაგის შესახებ. მოხსენება გააკეთეს ბორჯომის [illegible] დელეგატებმა, აღნიშნეს რომ შეპირდნენ [illegible] ფქვილის გამოგზავნას [illegible], მაგრამ სამი დღე გადის და ფქვილი არ მოსულა, ამან გამოიწვია კრების დიდი უკმაყოფილება, ბორჯომის სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ. ნოე რამიშვილი შეპირდა საზოგადოებას ყოველნაირ დახმარებას. შემდეგ კრებამ განიხილა ბორჯომიდგან მისული ნიხრი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია. გამოირკვა რომ ბორჯომის ნიხრი წაღვერისათვის შეუფერებელია იქაურ სანოვაგეზე პირობების მიხედვით ფასი მოუმატეს. მეორე კრებაზე გადაწყვიტეს აირჩიონ კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სასურსათო კომიტეტში, რამდენი ვაგონი მიიღეს ბორჯომში ფქვილი და როგორ განაწილეს. ამის შემდეგ ისევ ნიხრის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. ნიხრმა აქაურ ჩარჩებში ძალიან უკმაყოფილება გამოიწვია და თუ რამე ჰქონდათ ყველაფერი გადამალეს. არაფერი არ იშოვებოდა არც ხორცი, არც კარაქი, არც რძე და სხ. კრებაზე ისმოდა უკმაყოფილება სქელ ჯიბიან მოაგარაკეების წინააღმდეგ, რადგან ისინი ნიხრზე მეტს აძლევენ სანოვაგეში გამყიდველებს და საერთოდ წესებს არღვევენ. ფასები ასეთია: პური შავი 14 კ. ძროხის ხორცი 70 კ. ცხვრის 1 მ. კარაქი 2 მ. 50 კ. ლობიო წვრილი 50 კ. კარტოფილი 15 კ. კიტრი ცალი 15 კ. ეს ფასები არსებობდა ნიხრის დაწესებამდე შემდეგ კი როგორ დაიცავენ მოაგარაკენი ნიხრს ეს მათი საქმეა. საავადმყოფოთ ძალიან ბევრი ხალხია ჩამოსული, არც ერთი ოთახი არ იშოვება, ბევრი ხალხი გარეთ ათევს ღამეს და ბევრიც უკან მიდის.

ჭიათურელი მოძმე.

პროვინციის ცხოვრება.

ს. ფიხის-ჯვარი. (გურია). 2 ივლისს აქ მოხდა ფიხის ჯვრის მომხმარებელ საზოგადოების „ერთობა“-ს წევრთა კრება. პირველად განხილული იყო სახარაზო დუქნის ანგარიში. როგორც გამგეობიდან წარმოდგენილ ანგარიშიდან ჩანს სახარაზო დუქანს ექვსი თვის განმავლობაში დარჩენია წმინდა მოგება 461 მანეთი. გამგეობის წევრებმა ანგარიშები დაწვრილებით და შესაფერი დოკუმენტებით წარმოუდგინეს კრებას, მასთან როგორც გამოირკვა სარევიზიო კომისიას ამ ხნის განმავლობაში რევიზიაც არ გაუკეთებია, და ამიტომ წევრები უკმაყოფილო დარჩნენ. შემდეგ ამისა კრებამ დაადგინა გაფართოებული იქნას დუქნის წარმოება, როგორც საფართლო ისე სხვა. და შრომის ფასიც მიეცეს გამგეობის წევრებს.

ყარამან კილურაძე.

ჩანჩეთი. (გურია) აქ 21 მაისს ეგნატე ნინოშვილის 23 წლის თავზე დაარსდა სამეურნეო სასწავლებელი ეგნატეს სახელზე.

იმავე დღეს შემოვიდა შემოწირულება ფულით 2,800 მ. მერმე თითქმის ყოველ დღე მოდის შემოწირულებები. აქაური მცხოვრებნიც დიდის ენერგიით ეკიდებიან ასეთ საქმეს. ცდილობენ გაიყვანონ ყოველ მხრივ საუკეთესო გზები. ენკენისთვიდგან სასწავლებლის გახსნას ფიქრობენ. შალვა ქანიამ შემოსწირა 5000 მან, რომ მის ეზოში გახსნილიყო ოთხკლასიანი სასწავლებელი. ეს რომ სისრულეში მოიყვანონ, მაშინ ეგნატეს სახელობის სასწავლებელი დაშორებული იქნება სამი ვერსით. შალვას რომ ეს თანხა ეგნატეს სკოლისათვის შემოეწირა მეტ სახელს გაითქვამდა და საქმის დაგვირგვინებასაც ხელს შეუწყობდა. იქნებ კი ხელი გვეშლება, რადგან ერთი ნაწილი იძულებული ჩამოგვშორდეს ჩვენ.

ხპირიდონა.

ჩვენი ქალაქის მამების მოღვაწეობის ნიმუში.

1907 წ. ჩვენი ქალაქის მამებმა გამოიჩინეს რა დიდი ლმობიერება უსახლ-კარო ღარიბ ოჯახების მიმართ გამოაცხადეს, რომ ქალაქის თავისუფალი ადგილები ნავთლუღის სადგურის გაღმა იძლევა იჯარით სასახლკაროთ 24 წლით. [illegible] ექვს [illegible] წლიწადში, ხოლო პირობის წესით გამოიცვლება ყოველ ექვს წლიწადში ერთხელ. ჩვენც უბინადრო ხალხმა, გახარებულმა ქალაქის მამების სიუხვით, ავიღეთ სამასამდე სამოსახლო ადგილები სახლების ასაშენებლათ. ქალაქის თვითმმართველობამ დაგვიწერა პირობის წერილები, დაგვინიშნა გეგმები ადგილისა, ჩაიბარა წინადღით ნახევარი წლის საიჯარო ფული და ჩვენც შევუდექით სახლების აშენებას, მაგრამ ქალაქის მამებს თურმე არც ისე სუფთა ჰქონიათ გული, როგორც ჩვენ გულ უბრყვილოთ გვეგონა. ქალაქმა აღნიშნული ადგილი პოლიტეხნიკუმს შეუწირა და ჩვენ კი გამოგვეცხადა (ვინც აშენება მოასწრო) თქვენი შენობა სადაც გინდათ იქ გადაიტანეთ, და ვინც ხელმოკლეობის გამო ვერ მოასწრო ქოხის აშენება, გამოგვეცხადა, რომ პირობა გაუქმებულია და გადახდილი საიჯარო ფულიც დაკარგულათ ჩაგვეთვლებათ.

ჩვენც ძალაუნებურათ მივმართეთ იმჟამინდელ ქალაქის თვითმმართველობას, მივუთითეთ მათ უკანონო მოქმედებაზედ, რომლითაც მათ დაარღვიეს მათი მიერ დაწერილი პირობა და ვთხოვეთ, რომ არ გაეუქმებინათ იგი, ან მიეცათ ჩვენთვისაც იგივე ადგილები, რადგანაც განზრახული ჰქონდათ მისი მდინარეზედ გაყიდვა და თუ ჩვენ ცალკეულათ უფლება არა გვქონდა ამ ადგილებზედ დასახლებისა, სხვაგან მაინც მოეცათ უფრო მოშორებით თავისუფალი ადგილები ქალაქისა. ქალაქის მამებმა პოლიტეხნიკუმის ამშენებელ კომისიაზედ მიგვითითეს, რომ ამიერიდგან ის ადგილები მათ ეკუთვნისთ და თქვენ იმათ მიმართეთო. ჩვენც რასაკვირველია არ დავაყოვნეთ და მივმართეთ პოლიტეხნიკუმის ამშენებელ კომისიას, მაგრამ [illegible] ბევრი სიარულისა და თხოვნების მოთმენის შემდეგ დაგვიბარა ბაზოვმა პირადათ და დაგვიბარა თავის კაბინეტში თითო [illegible], ახალ პირობებზე ხელის მოსაწერათ. ამ პირობის ძალით ორის წლის შემდეგ ადგილები უნდა დავცალოთ. რასაკვირველია პირველი ჩვენთაგანმა ხელი არ მოაწერა, რადგანაც ჯერ ერთი ვადა არა ჰქონდა გასული პირველ პირობას და მეორეც იმიტომ, რომ ჩვენი აგურები, გაჯი და ქვა სად უნდა წაგვეღო ან რის გამოსაღები იყო. ამისათვის უარი მიუგეს მოძალადე ბაზოვის მოქმედებით საერთოთ [illegible] შეურაცხყოფილებმა დარაზმულმა. დღეს როდესაც თავისუფალ სიტყვასა და საქმის ნება მოგვეცა, შევიკრიბენით, ვიქონიეთ მსჯელობა და დავადგინეთ, რომ ჩვენი უფლება აღვადგინოთ და დავსახლდეთ აღნიშნულ ადგილებზედ. ამასთანავე ერთხელ კიდევ მივმართეთ პოლიტეხნიკუმის ამშენებელ კომისიას ხელმძღვანელ გულლევს, რომელმაც გამოგვიცხადა, რომ აღნიშნული ადგილები ისევ ქალაქს დაუბრუნეთო, ჩვენც გადავწყვიტეთ მოვუცადოთ ქალაქის ახალ არჩევნებს, რომელიც ეჭვი არ არის, რომ დემოკრატიული იქნება, რომლისაგანაც შევიძლებთ უკანასკნელად შეგვინახოს ეგებ ამ ადგილებისას და განვახორციელებთ ჩვენს დიდი ხნის ნატვრას.

მ. ც.

გაზეთის სასარგებლოთ.

გამხლებლი გრონის ამხანაგებთა შორის შეგროვილ ფულს ორას სამ მანეთს და ათ შაურს და გიგზავნით მიიღოთ ას სამი მანეთი და ათი შაური ჩვენ გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის და ასი მანეთი პარტიული სტამბის ფონდისათვის.

ამხ. მონდ. სამუელ თავართქილაძე.

—

ბაქოს ამხ. ნუშნების ერთი ჯგუფიდან გიგზავნით „ერთობის“ სასარგებლოთ 25 მ. და „ბარბაცის“ სასარგებლოთ 25 მ.

ამხ. მონდ. ალ. დოხტიანოვი.

—

პარტიულ სტამბის სასარგებლოთ.

ჩვენ სადგურ ჯულფის რაიონის გზის მოსამსახურეები ვიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ 25 მ. პარტიულ სტამბის შესაძენათ.

ამხ. მონდ. ვახო ჯუგნიძე.

—

სოფ. ხევი (გურია). ამასთანავე იგზავნება ფოსტით თქვენი რედაქციის სახელზე 100 მ. კოოპერატივის მოგებიდან გადადებული პარტიული სტამბის შესაძენათ.

ნოე უჯმაჯურიძე.

—

ვიგზავნით პატარა წვლილს თორმეტ მანეთს ომში დაკარგულ ძვირფას ძმის ბიქტორ მარკოზის ძე სტურუას ხსოვნის აღსანიშნავათ. ამ თანხიდგან ხუთი მან. „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ, ხუთი მ. სტამბის სასარგებლოთ და ორი მ. გაზეთი გაუწეროთ ჯარისკაცებს.

პლატონ მ. სტურუა.

წერილები რედაქციის მიმართ.

ს. ლაითურში ვაარსებთ სამკითხველოს ნოე ჟორდანიას სახელზე. ამ მიზნისათვის ბევრმა შემოწირულება გაიღო, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ ყველას.

ვლ. პ. ქორიძე.

მადლობას უცხადებთ ბ. ერასტი ლევანის ძე ხაინდრავას, რომელმაც სოფელ ლეხაინდრაოს უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ შეკრიბა გრემიხაში თავის ნაცნობების შორის ორასი მანეთი. მადლობას ვწირავთ იმ პირებსაც, რომელთაც ამ დაწესებულებისათვის არ დაიშურეს თავიანთი წვლილი.

წევ. ივანე ხაინდრავა.

ს. შუა და ზემო ამაღლების (გურია) სოლიდარობის ჯგუფის სახელობის სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ვ. ღლონტს, რომელმაც ქ. ქუთაისში თავის მეგობართა და ნაცნობთა შორის შეაგროვა შემოწირულება 125 მ. 80 კ., და სოლომონ ჯიბუტს, რომელმაც დაბა ლანჩხუთში თავის მეგობართა და ნაცნობთა შორის შეაგროვა 45 მ. 50 კ.

პრეზ. გამგეობა

მადლობას უცხადებთ კაროლე ანტონის ძე ვარდოსანიძეს, რომელმაც ს. ფუთის კაროლო ჩხეიძის სახელობის სამკითხველოს სასარგებლოდ შეაგროვა თავის ნაცნობ მეგობართა შორის 85 მან. და 5 კ. და აგრეთვე თავის მხრითაც გაიღო წვლილი.

ფუთის სამკითხველოს გამგეობის თავმჯ.
მასწ. ან. გუნიავა.

ჯილდეების მომხმარებელთა საზოგადოება „შრომაველი“ უღრმეს მადლობას უძღვნის პავლე ივანიკის ძე კარტოზიას, რომელმაც კოოპერატივის შენობის დასადგმელათ უსასყიდლოდ შესწირა მიწა.

გამგეობის მდივანი კ. ყურაშვილი.

მადლობას უცხადებთ სენაკის მაზრის სახალხო მასწავლებლებს, რომლებმაც სამი ივლისის მასწავლებელთა კრების დადგენილებით ორასი მანეთი შესწირეს [illegible] უკვე განსვენებულ სახალხო მასწავლებელ მაქსიმე კორინის ძე ვეკუას ოჯახს.

პატივისცემით ქვრივი ფედოსია ვეკუასა.

მადლობას უცხადებთ ქალბატონ მარიამ მოსეს ძე გოგუაძეს, რომელმაც თავის გარდაცვლილ ქმრის 6 წლის ხსოვნის აღსანიშნავად [illegible] სკოლას შემოსწირა ათი მანეთი.

[illegible] მასწ. ეფრემ ხოფერიაძე და მზრუნველი ანდრია მხატვარი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

კოლენიკე თავის ძე მეგრელიშვილი, მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში ქართველ მსროლელთა პოლკში 1 როტაში. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Дѣйствующая армія 105 пѣх. Оренбургскій полкъ поручику Мепаришвили.

— ჯარისკაცი ვლადიმერ ნაცვლიშვილი მსახურობდა კავკასიის ფრონტზე 151 [illegible] პუნქტში 1 კომანდაში. ვთხოვთ თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე აცნობოს შემდეგი მისამართით: Ст. Копитнари кут. губ. стрелочнику Павлу Г. Нацвлишвили.

— 7 ივნისს კავკასიის ფრონტზე ქურთებთან შეტაკების დროს, გმირულად მოჰკლეს ქართველ მსროლელთა პოლკის პირველ როტაში მყოფი ჯ.-კ. ბიკენტი კოკაშის ძე გორგოლაძე.

ბედით დაწყვეტილი ამხანაგები ჯ.-კ. ნიკოლოზ სურგულაძე და გიორგი ჩოჩუაშვილი.

— ჯარისკაცი დავით ანდრიას ძე სურმავა, მსახურობდა მე-155 კუბინსკი პოლკში მე-3 როტაში. გვაცნობეთ მის შესახებ სენაკის მაზრა, ნაბოლოვის საზოგადოება, სოფ. ბომბოთი ანდრია ეკვთიმეს ძე სურმავას.

ტფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (ქაბულის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9-დან საღ. 9 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა სახლის ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).
კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

იყიდება
ჭილოფებს
ხელსაყრელ ფასებში.
(დამზადებულია მექვს 2000 ცალამდე ზომით 2—3 არშინ).
დაკვეთა შეიძლება ასობით და ათასობითაც. ფასებზე მოლაპარაკება პირადათ და წერილობით შემდეგი ადრესით: Ст. Ланчхуты, сел. Чибати Маркозу Патараія.

ქუთაისში
ექიმ ბ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფებისათვის, ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 ს. საათამდე

ექიმი ბ. მ. მუხაძე
იღებს სიფილიტიკურ ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს იღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქუთაისში
ექიმი **ვალერიან ღორთქიფანიძე**
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე.
პუშკინის ქუჩა, ვიტმინსკის სახლში.

ქ. ქუთაისში.
ექიმი გ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, [illegible] ქ., მაჭრაძის სახლი.

თფ. საქონლის სადგურში
იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები
გამოცემა საოლქო კომიტეტისა.
მსურველს შეუძლია მიმართოს
საშა ჩიგოგიძეს.

ექიმი ა. დ. პეპელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606 ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის“ პირდაპირ.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, №

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 13, ტელეფონი № 11—82.

მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

აუქციონი.

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 23 ივლისს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტანისამოსისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისა.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა რუსთაველისა გამზირის შესახვევი № 1.